




# ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 109

2016 წლის 7 ნოემბერი



ხაშური

„ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 ივლისის №111 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შეიქმნა ახალი ფრაქცია „დამოუკიდებელი“ – (თავმჯდომარე - პავლე ლაცაბიძე, წევრები - გიზო ტალახაძე და ილია კაპანაძე), ხოლო ფრაქციას „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული დემოკრატები, ვეტერანები“ დაემატა ახალი წევრი ირინე გრიგალაშვილი, რის გამოც, ზემოხსენებული ფრაქციების წევრებმა მოითხოვეს სხვადასხვა კომისიებში საქმიანობის გაგრძელება, კერძოდ: ა) სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში - ფრაქცია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული დემოკრატები, ვეტერანების“ წევრმა ირინე გრიგალაშვილმა, ბ) საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში - ფრაქცია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული დემოკრატები, ვეტერანების“ წევრმა ემზარ მურჯიკნელმა და ფრაქცია „დამოუკიდებელის“ თავმჯდომარემ პავლე ლაცაბიძემ, გ) სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიაში - ფრაქცია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული დემოკრატები, ვეტერანების“ წევრმა მიხეილ ჯიბუტმა და ფრაქცია „დამოუკიდებელის“ წევრმა გიზო ტალახაძემ, დ) ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიაში - ფრაქცია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული დემოკრატები, ვეტერანების“ თავმჯდომარემ ზაურ ხაჩიძემ და ფრაქცია „დამოუკიდებელის“ თავმჯდომარემ პავლე ლაცაბიძემ, ე) სოციალურ საკითხთა კომისიაში - ფრაქცია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული დემოკრატები, ვეტერანების“ წევრმა მიხეილ ჯიბუტმა და ფრაქცია „დამოუკიდებელის“ წევრმა ილია კაპანაძემ. ამ მოთხოვნას დაეთანხმნენ შესაბამისი კომისიების თავმჯდომარეები. აღნიშნული მოთხოვნა არ ეწინააღმდეგება ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედ რეგლამენტს და შეესაბამება მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში დამტკიცებულ წარმომადგენლობით კვოტებს. გამომდინარე აქედან, საკრებულოს წევრების მოთხოვნა იწვევს კომისიის შემადგენლობებში ცვლილების შეტანას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 ივლისის №111 განკარგულებაში შევიდეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიები შემდეგი შემადგენლობებით:

ა) სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრები:

1. ომარ კაპანაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“
2. მამუკა წიქარიშვილი - ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“
3. როინ მახაროზიძე - ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“
4. ნოვე ტაბატაძე - ფრაქცია „რესპუბლიკელები-დამოუკიდებელი“
5. ირინე გრიგალაშვილი - ფრაქცია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული დემოკრატები, ვეტერანები“
6. ჯურხა მახარაშვილი - დამოუკიდებელი წევრი
7. მალხაზ ლომიძე - ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“
8. გენადი გელაშვილი - ფრაქცია „ერთობა“

ბ) საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები:

1. მამუკა წიქარიშვილი - ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“
2. არჩილ ჩაჩანიძე - ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“
3. მიხეილ ჯანაშვილი - ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“
4. ზაალ ფცქიალაძე - ფრაქცია „ერთობა“
5. პავლე ლაცაბიძე - ფრაქცია „დამოუკიდებელი“
6. ირინე გელაშვილი - ფრაქცია „რესპუბლიკელები-დამოუკიდებლები“
7. ემზარ მურჯიკნელი - ფრაქცია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული დემოკრატები, ვეტერანები“

გ) სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის წევრები:

1. ნიკოლოზ კიკნაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“
2. როსტომ გრიგალაშვილი - ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“
3. დავით გელაშვილი - ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“
4. მანანა კაპანაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“
5. მიხეილ ჯიბუტი - ფრაქცია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული დემოკრატები, ვეტერანები“
6. გიზო ტალახაძე - ფრაქცია „დამოუკიდებელი“
7. ლაშა მესხი - ფრაქცია „რესპუბლიკელები-დამოუკიდებლები“
8. მალხაზ კორკოტაძე - ფრაქცია „ერთობა“

დ) ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის წევრები:

1. ვაჟა ხარშილაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“
2. მალხაზ ლომიძე - ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“
3. ლევან ბურჯანაძე - ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“
4. ომარ კაპანაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“
5. პავლე ლაცაბიძე - ფრაქცია „დამოუკიდებელი“
6. ლაშა მესხი - ფრაქცია „რესპუბლიკელები-დამოუკიდებლები“
7. მალხაზ კორკოტაძე - ფრაქცია „ერთობა“
9. ზაური ხაჩიძე - ფრაქცია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული დემოკრატები, ვეტერანები“


ე) სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. ირინე გელაშვილი - ფრაქცია „რესპუბლიკელები-დამოუკიდებლები“
2. ილია კაპანაძე - ფრაქცია „დამოუკიდებელი“
3. გენადი გელაშვილი - ფრაქცია „ერთობა“
4. მანანა კაპანაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“
5. ზურაბ ნოზაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“
6. მიხეილ ჯიბუტი - ფრაქცია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული დემოკრატები, ვეტერანები“

2. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ხაშური, კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე